

system, conducting them from the positions of the globalization and internationalization and preventing the development of the regionization of capital.

Thus, globalization in the financial sphere and the competition incite banks towards gigantomania. It is quite possible, that the banks having capital exceeding tens of mln. USD conquer the world economy future.

თანამედროვე მსოფლიო მოიცვა გლობალიზაციის პრობლემებმა. მისი გავლენის მიღმა არც ფინანსური ურთიერთობები დარჩა. ფინანსების გლობალიზაციის არსი ინტეგრირებულ მსოფლიო ფინანსურ ბაზარშია. ფინანსების გლობალიზაცია წარმოდგენილია მსოფლიოს ეროვნულ და რეგიონულ ბაზრებს შორის აქტიური კავშირის სახით.

თანამედროვე გლობალიზაცია წარმოადგენს მსოფლიოს განვითარების თვისობრივად ახალ მოვლენას, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. სწორედ გლობალიზაციისათვისაა დამახასიათებელი ეროვნული და გლობალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ადგილების გადანაცვლება. გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად იზრდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების წამყვანი, პრიორიტეტული როლი.

მსოფლიო ფინანსურ სისტემაში გლობალიზაციის პროცესის ზემოქმედება ყველაზე მეტად შესამჩნევი გახდა საბანკო-საკრედიტო სფეროს საქმიანობაში. გლობალიზაციამ ობიექტურად მოითხოვა ფინანსების მართვისა და საბანკო მენეჯმენტის ახალი სიმაღლეების დაპყრობა. საბანკო სისტემაში მომხდარი ცვლილებები, მოქნილობა და ახალი ფორმების შექმნა ნორმალური და სასურველი, უფრო მეტიც, დროის მოთხოვნა გახდა.

ფინანსური მომსახურების სფეროში სტრუქტურული ცვლილებები, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება საბანკო სისტემის გარდაქმნაში: თანამედროვე, ტრანსფორმირებული საბანკო სტრუქტურა წარმოადგენს მოთხოვნის ახალი სტრუქტურის, გლობალიზაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგს. უმსხვილესი საბანკო ინსტიტუტების მცირე რიცხვი ემსახურება რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებს.

თანამედროვე ფინანსური კრიზისის მასშტაბები და ხანგრძლივობა ეკონომიკურ მეცნიერებას აიძულებს ახლებურად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში დომინირებს გასული საუკუნის

ბოლო პერიოდიდან. გლობალიზაცია ანუ მსოფლიო მეურნეობრივი ინტეგრაცია წინააღმდეგობრივი და არათანაბარია, რომელიც მუდმივად იცვლის კონკრეტულ ფორმებს, მეტოდებსა და მექანიზმებს.

78 თანამედროვე კომერციული ბანკების წილადგას რთული და ახალი ამოცანები. ახლო აუღში, ყოფილ სისტემაში ცნობილ მიზეზთა გამო, საბანკო სისტემები ფუნქციონირებდა ნაკლებად დაძაბულ რიტმში, კონფორტულ და სტაბილურ გარემოში. მაგრამ, ოცდამეერთე საუკუნემ კომერციულ ბანკებს სერიოზული გამოცდა მოუწყო. კომერციული ბანკები ძალიან მწვავედ და პერმანენტულად განიცდიან გლობალიზაციისა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გავლენას. დღეს საერთაშორისო საბანკო ინსტიტუტები უპრეცედენტო სიძნელებებს განიცდიან კაპიტალის მობილიზაციისა და განთავსების სფეროებში.

დადასტურებულია, რომ საერთაშორისო ბანკების მიერ სახსრების მობილიზაციის ეფექტიანობა განისაზღვრება შემდეგი სამი ფაქტორით:

პირველი — ფინანსური ბაზრები სწრაფად იზრდება საერთაშორისო მასშტაბის ინსტიტუტებად და ბევრი მათგანი (მაგ., დეპოზიტების ბაზრები ევროვალუტებში, უცხოური ვალუტების ბაზარი და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი) გარდაიქმნება ისეთ ბაზრებად, რომლებიც ერთიან ფინანსურ ქსელში აკავშირებს ევროპას, ჩრდილოეთ ამერიკას და შორეულ აღმოსავლეთს, რომლებიც განუწყვეტლივ ფუნქციონირებენ.

მეორე — დაკრედიტების ძველი მეთოდების ტრანსფორმირების შედეგად ფუნქციონირებას იწყებს ახალი ფინანსური ინსტიტუტები და კაპიტალის მობილიზაციის საშუალებები. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოდ ფასიანი ქაღალდების გარანტიის ქვეშ გაცემული სესხები და უმსხვილები ფონდები.

მესამე — მრავალ ქვეყანაში ფაქტობრივად წაშლილია ბარიერები ფასიანი ქაღალდების ოპერაციებში დასაქმებულ დილერებსა და საერთაშორისო ბანკებს შორის.

არსებობს კითხვები: მსოფლიოში ბევრია ისეთი ბანკები, რომლებიც გლობალიზაციურ დასხივებას გაუძლებს? მათგან ბევრი შეძლებს შეინარჩუნოს შემოსავლიანობა საშუალო ან მაღალ დონეზე, თუნდაც რამდენიმე წლის განმავლობაში? მსოფლიო გამოცდილება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ საკითხზე დადებითი პასუხის გაცემა ძნელია.

მსოფლიოს მრავალ ბანკს გააჩნია სურვილი, რომ ჩაერთონ მიმზიდველ გლობალურ ფინანსურ გარიგებებში, მაგრამ სურვილი სურვილად რჩება და ამ საქმისათვის ფეხის აწყობა შეუძლია მხოლოდ ერთეულ ბანკებს. საბანკო მენეჯერებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ მარტივი ჭეშმარიტება: ქვეყნის დონეზე მიღწეული წარმატებები ბანკს იმის გარანტიას როდი აძლევს, რომ გლობალურ ფინანსურ გარიგებებში შემოსავლიანობის თუნდაც საშუალო დონეს მიაღწიოს.

გლობალიზაციისა და ტექნოლიზაციის ეპოქაში ფინანსურ სფეროში თითოეულ გონივრულ სტრატეგიასა და განჭვრეტას თან უნდა ახლდეს ეროვნული და საერთაშორისო კონკურენტული სიტუაციის ანალიზი და ინტერპრეტაცია, რაც ბანკებს და საერთოდ, საბანკო სისტემას ხელს შეუწყობს გააკეთონ სათანადო დასკვნები. ასევე, საჭიროა უფრო ღრმად გაანალიზდეს ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოების ბანკების საქმიანობა.

იმისათვის, რომ გავერკვეთ, თუ რა გზებით არის შესაძლებელი საბანკო სისტემის დიდი წარმატება, საჭიროა ანალიზი გაკეთდეს შემდეგ ასპექტებში: მენტალიტეტი და ფასეულობა, სიტუაცია მართვასთან და თანამშრომლობასთან მიმართებაში; ბირჟები და კაპიტალის ბაზარი; საბანკო სისტემა და სტრუქტურა; კონკურენტული სიტუაცია; მომგებიანობა და კონტროლი.

საქართველოს საბანკო სისტემის თანამედროვე დონესა და პარამეტრებზე ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მათი მაჩვენებლების სრულყოფილად წარმოდგენა.

1. მენტალიტეტი და ფასეულობა: სიტუაცია მართვასთან და თანამშრომლებთან მიმართებაში გასათვალისწინებელი უნდა იყოს შემდეგი მაჩვენებლები: მოგების შეფასება, სტაბილურობა, ლოიალურობა, საიმედოობა, სიფრთხილე, მოქნილობა, გამომგონებლობა, რისკისკენ მისწრაფება, აგრესიულობა, ორიენტაცია მარკეტინგისაკენ, შეცდომები და მათი გამოსწორების ხარისხი, მიზნისაკენ ორიენტაცია, ფართო განვითარებისა და ვიწრო სპეციალიზაციისადმი მიდგომა, ორიენტაცია უსაფრთხოებისაკენ და ა.შ.

2. ბირჟა და კაპიტალის ბაზარი. როგორ არის წარმოდგენილი მსხვილი განვითარების ქვეყნების ფინანსური დაწესებულებები ნაციონალურ ბაზრებზე; ამ ბაზრების განვითარების დონე; საბანკო დაფინანსების ტრადიციები; კაპიტალის ბაზრის ორიენტაცია; ინსტიტუციური

ინვესტიციების ზრდის დონე; საერთაშორისო ინვესტიციები და ვაჭრობის ეფექტიანობა; არსებული სტატისტიკა და ანგარიშგება რამდენად შეესაბამება სტანდარტებს; ბირჟების გამჭვირვალობის გაუმჯობესება და ბირჟების ლიკვიდობა.

3. საბანკო სისტემა. ერთიანი ვალუტა თუ სხვადასხვა სახის ვალუტა მიმოქცევაში; რამდენად მყარია უნივერსალური საბანკო სისტემა; მომსახურების რაოდენობის მრავალფეროვნება და მისი განვითარების პერსპექტივები; როგორია ბანკებით ქვეყნის ტერიტორიის მოცვა; ქვეყანაში როგორი ბანკები ჭარბობს — მსხვილი თუ წვრილი.

4. კონკურენტული სიტუაცია. პრივატიზაციის მდგომარეობა, ბანკების შერწყმის დონე, ბალანსის პორტფელის რაციონალური ოპტიმიზაციის დონე; კონკურენცია არასაბანკო დაწესებულებების მხრიდან; როგორ გამოიყენება თანამედროვე საბანკო მენეჯმენტის ინსტრუმენტები; საერთაშორისო ოპერაციების განხორციელების ხარისხი და ა.შ.

5. მომგებიანობა-შემოსავლიანობა. ბალანსისა და დეპოზიტების ზრდაზე ორიენტაციის დონე; წმინდა მოგების დინამიკა; ბანკების რესტრუქტურისაზე სახელმწიფოს დანახარჯების სიდიდე, საბირჟო შეფასების ხარისხი; საზოგადოების დამოკიდებულება საბანკო მოგებისადმი.

6. კომერციული ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველობის ორგანოები: ცენტრალიზებული თუ დეცენტრალიზებული; ტენდენციები; რაციონალობა; კონსოლიდაცია.

აქ მოტანილი ასპექტებისა და მათი მაჩვენებლების შესწავლამ მიგვიყვანა მენეჯმენტთან დაკავშირებით ისეთი დასკვნების გაკეთებამდე, როგორიცაა: შრომის ნაყოფიერების ზრდის ფაქტორებიდან თანამდევნი საინფორმაციო ავტორიზებული სისტემების გამოყენების ინტენსივობა; სწორი და მოქნილი სეგმენტირება როგორ ითვალისწინებს სხვადასხვა სოცო-ეკონომიკურ პარამეტრებს; რაციონალური სტანდარტიზაციის მდგომარეობა, მარკეტინგის ინტენსივობა კლიენტებზე ორიენტაციის პოზიციებიდან; რისკის მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვის მდგომარეობა; კაპიტალის მოქნილი და რაციონალური განაწილება შემოსავლიანობის პოზიციებიდან.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თანამედროვე კომერციულ ბანკებს ფინანსურ ურთიერთობათა გლობალიზაციაში უდიდესი როლი აკისრია. ფინანსური სისტემა კომერციული

ბანკების სახით გამოდის ეკონომიკის აყვავების საფუძვლად. ფინანსური კაპიტალი გახდა მატერიალური წარმოების მამოძრავებელ ძალად.

თუ მრეწველობაში მეტნაკლებად ამართლებს გიგანტი საწარმოები, სამაგიეროდ მცირე და საშუალო სიდიდის ფორმებმა გამონახეს არსებობის შესანარჩუნებელი გზა, ხოლო ზოგჯერ მეწარმეობის ასაყვავებელი დამატებითი რეზერვები. სულ სხვა მდგომარეობაა ფინანსურ სფეროში. აქ გაბატონებული პოზიცია ზუსტად რომ გიგანტებს უკავიათ. ფაქტია, რომ უახლოეს მომავალში მსოფლიო ეკონომიკას დაიპყრობს ბანკები, რომლებიც ფლობენ გიგანტური მოცულობის აქტივებს.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური და ფინანსური ცხოვრებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა აქტიური თავგადასავლები საბანკო-საკრედიტო სფეროში. ახალი ფასეულობები და თავისუფლების თანამედროვე ხარისხი პროდუქციასა და ფასებთან მიმართებაში იწვევს ეკონომიკურ ურთიერთობებში წინააღმდეგობრივ გარდაქმნებს. კომერციულ ბანკებში შემოსავლების ზრდა გადამწყვეტი მიზანია. მომავალში შემოსავლის ზრდა დამოკიდებულია თვით ბანკების ამოსავალ სიტუაციაზე, რომელიც განსხვავებულია საკრედიტო დაწესებულებების კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე. თითოეული ბანკისათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება განუწყვეტელი თვითკრიტიკული ანალიზის განხორციელება.

შემოსავლების გადიდებისაკენ მიმავალი გზა შეიძლება წარმოვიდგინოთ გამარტივებული და შემოკლებული სახით, როგორც თითოეული ბანკის ძირითადი ფუნქცია. ნებისმიერ საფინანსო ინსტიტუტს, ნებისმიერ ბანკს მუდმივად აქვს საქმე რისკთან, საფინანსო ინფორმაციასთან, ფასიანი ქაღალდების ოპერაციებთან, უფრო მეტად და უპირატესად საკუთარ კაპიტალთან.

ბანკის ყოველგვარი შემოსავალი ბაზრიდან მიიღება. ბაზარი, პირველ რიგში, კლიენტებისაგან შედგება, თუმცა სერიოზული პოზიციები უკავიათ კონკურენტებსაც.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე საბანკო დაწესებულებებისათვის არსებობს კლიენტთან მუშაობის გაუმჯობესების რეალური, ჯერაც გამოუყენებელი შესაძლებლობები. სამწუხაროდ, საქართველოს ბანკებს დღემდე არასწორად აქვთ ათვისებული თავიანთი შესაძლებლობები სხვადასხვა სფეროების მოქნილად გამოყენების პოზიციებიდან. ქართული ბანკები

მეტნაკლებად იცნობენ კლიენტების შესაძლებლობებს, ქცევის წესებს, უნარს, რის გამოც ხდება გაცემული სესხების ვადაზე დაუბრუნებლობა, კლიენტების მიერ ბანკის მოტყუილება და სხვა ანომალური შემთხვევები.

ბანკების საქმიანობაში პერსპექტივაში იშლება შესაძლებლობები, რათა მუშაობაში მათ მაქსიმალურად გამოიყენონ რისკის ისეთი ელემენტები, როგორიცაა მისი უშუალოდ მიღება, შეზღუდვა, შუამავლობა, ვაჭრობა და კონსულტაციები. ქვეყნის ნებისმიერი ბანკი საკუთარ შემოსავლებს გაზრდის მხოლოდ წარმატებული სტანდარტიზაციის, სეგმენტირების, გასაღების რაციონალიზაციის, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენების დახმარებით, აგრეთვე საქმიანობის მისთვის დამახასიათებელი ტრადიციული სახეების ეფექტიანობის ამაღლების გზით.

თანამედროვე უნივერსალური ბანკები წარმატების მისაღწევად ისეთ ღონისძიებებს ახორციელებენ, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს, მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობებისა და უპირატესობების მაქსიმუმს თანამედროვე საბანკო კონკურენციულ ბრძოლაში.

თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებს გააჩნიათ უნივერსალური ბანკების კომპლექსური მატრიცული მართვის ფართო გამოცდილება. ეს არის ნოუ-ჰაუ. უნივერსალური ბანკებისათვის სოლიდური კაპიტალი, მაღალი რეიტინგი და კარგი რეპუტაცია ქმნის ფასიანი ქაღალდების განთავსების, განვითარების, პრივატიზაციის, ნებისმიერი სახის რისკის და მისი თანამედროვე მართვის მეთოდებისათვის ოპტიმალურ წინაპირობებს. საშუალო და წვრილ ბანკებს საკუთარი კაპიტალის სიმცირე კონკურენციულ ბრძოლაში წარმატებების გარანტიას არ აძლევს და საბოლოოდ მარცხდებიან.

კომერციული ბანკების რეიტინგი წარმოადგენს კლიენტებთან ნდობის მოპოვების გადამწყვეტ ფაქტორს. ფინანსური კრიზისის მოახლოებისას კლიენტებს თავიანთი კაპიტალი გადააქვთ უფრო საიმედო ბანკებში.

დღეისათვის სტანდარტიზაციას, ოპერაციათა დაბალ ღირებულებას, რისკის მართვას და პრობლემების დაძლევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო სამეურნეო სუბიექტების დაკრედიტებისათვის, არამედ საქონლისა და მომსახურების ვაჭრობისათვის. საერთოდ, თანამედროვე ინსტიტუციური და საერთაშორისო საინვესტიციო გარიგებები სულ უფრო მეტად თხოულობს ამოსავალი პირობების გათანაბრებას. ასე, რომ ამ სფეროში

მოთხოვნების კრიტიკული წესი სწრაფად მაღლდება და მომავალშიც გაიზრდება. ბანკის სიდიდეს გააჩნია ერთი მეტად მნიშვნელოვანი უპირატესობა: მომავლის მოთხოვნები ბანკის საიმედოობასა და ზედამხედველობის განხორციელებასთან მჭიდრო კავშირშია მის სიდიდესთან და მაღალ რეპუტაციასთან.

საშინაო ბაზარზე ძლიერი პოზიცია ნებისმიერი ბანკის მესვეურთა სურვილია, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩება, თუ ბანკის საქმიანობა სათადარიგოდ ვერ წარიმართა. ამას ის მნიშვნელობაც გააჩნია, რომ საშინაო ბაზარზე ძლიერი პოზიციების მქონე კომერციული ბანკები წელგამართული არიან საერთაშორისო ბაზარზედაც.

კომერციული ბანკების საქმიანობის მასშტაბების ოპტიმალური სიდიდე და ფუნქციონირების მრავალფეროვნება სტანდარტიზაციის, პროდუქციის დაბალი ღირებულების, უმსხვილეს პროექტებში მონაწილეობისა და რისკის მართვის გადამწყვეტი წინაპირობაა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ უნივერსალური ბანკის სიდიდე და მასშტაბი მყარი წარმატებების გარანტიას ყოველთვის როდი იძლევა. თმცა ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ფინანსურ გარეგნობათა კონკურენტუნარიანობისათვის. საბოლოოდ მხოლოდ ის ბანკები იმარჯვებენ, რომელთაც ჰყავთ მაღალი კვალიფიციური სპეციალისტები და კომპეტენტური კადრები, ურომლისოდაც გლობალური ფინანსური პრობლემების გადანყვეტა ნაკლებად რეალურია.

საბანკო სისტემაში ტრადიციული და ახალი სახეობის მომსახურების დანერგვა-გავრცელებისათვის გამოიყენება ფილიალების ფართო ქსელი, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსური მომსახურების საბოლოო მომხმარებლებთან მომგებიან დაშვებას. თანამედროვე ბანკებში წარმატებით საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პირობისა და განმსაზღვრელი ფაქტორის როლს ასრულებს საინფორმაციო ტექნოლოგიები. სწორედ ის ბანკები, რომლებიც ფლობენ მრავალმხრივ ინფორმაციულ მონაცემებს, ადვილად შეისწავლიან კლიენტის ფინანსურ პროფილს, ჩვევებს, მათ ადგილს ფინანსურ ბაზარზე.

უნივერსალურ ბანკებს კლიენტთა ფართო ქსელის არსებობა მტკიცე გარანტიას აძლევს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უზრუნველყოფილი ჰქონდეს სტაბილური მოგება, სტანდარტიზაცია და რისკის მართვა. ბანკების ადმინისტრაციას მხოლოდ სტანდარტიზაციის და

სეგმენტირების, მიმდინარე ინფორმაციის შემოსავლებისა და მათი დამუშავება-ანალიზის საფუძველზე შეუძლია რისკის ოპტიმალური მართვა.

სამომხმარებლო ფასეულობისა და კლიენტების პრიორიტეტების დარგში მომავალი ცვლილებები განაპირობებს მათზე ბანკის სწრაფი რეაქციის აუცილებლობას, რომ შეიქმნას პროდუქტების ახალი კომბინაციები.

ფინანსური მომსახურების სფერო მუდმივ ცვალებადობაშია: კომბინაციების გაფართოების, პრიორიტეტების შეცვლის, ახალი კომბინაციების შეჯვარების გზით. საინფორმაციო ტექნოლოგიები და მონაცემთა ელექტრონული დამუშავება, აგრეთვე ფინანსური თეორიის თანამედროვე მეთოდების შემდგომი დანერგვა განაპირობებს ახალი კომბინაციების წარმოქმნას. მოქნილი ორგანიზაციული ბლოკები უნივერსალურ ბანკს საშუალებას აძლევს, საკუთარი ნოუ-ჰაუს მეშვეობით მსგავსი მომსახურება ერთად გასწიოს.

გადანყვეტილებათა ინტეგრირებული პაკეტი ერთი ცენტრიდან უნდა იმართებოდეს. უნივერსალური საბანკო სისტემის არსებითი თავისებურება მდგომარეობს კერძო პირებთან, ფირმებთან და ინსტიტუციურ კლიენტებთან ინდივიდუალურ ურთიერთობაში. კონკურენტუნარიანი ინდივიდუალური მენეჯმენტი კლიენტებთან ურთიერთკავშირების საფუძველზე როგორც ბანკისათვის, ისე კლიენტისათვის სასარგებლოა.

უნივერსალური ბანკის დანიშნულებაა კერძო პირთა მრავალმხრივი მომსახურება ფინანსური ცხოვრების ნებისმიერ სტადიაზე: დაგროვება, საბაზრო მომსახურება, ისეთი, როგორიცაა: ანგარიშწარმოება, დავალიანების, ანაბრების და დეპოზიტების გაცემა, კონსულტაციები საგადასახადო დაბეგვრაზე და სხვა.

უნივერსალური ბანკი, როგორც მარკა — ჯერჯერობით შეუფასებელია. მყარი, სტაბილური უნივერსალური ბანკები ფლობენ ჯერ კიდევ შეუფასებელ საგანს, როგორიცაა ფირმის მარკა, რომელიც გამოიყენება, მაგალითად, ფონდების ფორმით არსებული ახალი პროდუქტებისათვის საფირმო მარკად. თითოეული ძლიერი ბანკი ცხოვრობს ნდობით ანგარიშზე. ნდობა ქმნის მარკას, ხოლო მარკა წარმოგვიდგება ნდობის სიმბოლოდ ბანკისათვის მძიმე დღეებში.

ამრიგად, ფინანსების სფეროში გლობალიზაცია და კონკურენცია კომერციულ ბანკებს უბიძგებს უფრო დამსხვილებისაკენ. უახლოეს

მომავალში სავარაუდოა მსოფლიო ეკონომიკა მოირგოს ბანკებმა, რომელთა აქტივები ათეული მლრდ დოლარს გადააჭარბებს. მსოფლიოში მიმდინარე თუ პროგნოზირებულ ვარიანტთაგან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ასეთი უდიდესი ბანკების ფორმირება-ფუნქციონირება სწრაფად ვერ მოხდება, თუმცა გარკვეული წინაპირობები ზოგიერთ მათგანში აშკარად უკვე გამოკვეთილია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქოქიაური ლ., საბანკო საქმე, თბ., 2010 წ.
2. ასათიანი რ., გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი, 2010.
3. პაპავა ვ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები; თბ., 2000.
4. მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2000.
5. რობაქიძე რ., საკრედიტო ურთიერთობების განვითარება საქართველოში, 2003წ.
6. ბალცეროვიჩი ლ., სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, თბ., 2002.
7. კაკულია მ., სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბ., 2001.

სტრეს-ტესტების მეთოდოლოგიის როლის შესახებ საბანკო სექტორში

თინათინ გუგეშაშვილი — ანსუ-ს ასოცირებული პროფესორი
ზურაბ მუშეკუდიანი — ანსუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ბანკმა რეგულარულად უნდა აწარმოოს სტრეს-ტესტები და განიხილოს შედეგები ზედამხედველთან. მოცემული მეთოდი განმარტავს პრინციპებს და აღწერს იმ ძირითად მინიმალურ ჩარჩოს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ბანკმა სტრეს-ტესტების ჩატარებისას. (მაგ. რისკი ვალდებულებების კოვენანტებზე, ლიკვიდობის/ფონდირების რისკი და სხვა).

სტატისტიკური ინფორმაციის დაბალი ხარისხის გამო, ასევე, სტრეს-ტესტებისათვის უფრო მეტად მომავალზე ორიენტირებული ხასიათის მისაცემად, სტრეს-ტესტების ძირითადი ნაწილი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა ჩატარდეს ტრანზაქციის დონეზე.

სტრეს-ტესტები უნდა მოიცავდეს ეკონომიკური ხასიათის სისტემური და სექტორული მნიშვნელობის შოკებს, რომელთა გავლენაც ბანკზე მატერიალურია. ერთდროულად უნდა იქნას გათვალისწინებული როგორც დადებითად კორელირებადი, ასევე ის შოკები, რომელთა ერთდროული მოხდენა არ არის გამორი-

ცხული. ეს არ გულისხმობს, რომ ბანკმა ერთდროულად უნდა გაუძლოს ყველა შოკს. ამ შოკებისთვის ადეკვატური კაპიტალის მოცულობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა მოთხოვნებს დააწესებს სებ-ი კონტრციკლური და კონსერვაციის ბუფერებისთვის, ბანკის მხრიდან სტრესულ სიტუაციაში დამატებითი კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობაზე. ამასთან, სტრესული სცენარის გარკვეული ნაწილისათვის შესაძლოა მისაღები იყოს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მაჩვენებლის დაცვა, ხოლო მთლიანი სცენარისათვის მხოლოდ გადახდისუნარიანობა.

საკვანძო სიტყვები: სტრეს-ტესტები, რისკი, ვალდებულებების კოვენანტები, (ლიკვიდობის/ფონდირების რისკი), სტრესული სცენარი

О роли методологии стресс-тестов
в бановском секторе

Резюме

Банк должен регулярно проводить стресс-тесты и рассматривать результаты с надзорителем. Дан-